ფასი 60 კაპ.

ახალი ნაკადი

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშურალთა პარტიის

ხუთშაბათი, 20 თებერვალი.

№ 9 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

საქ. რევოლ. ბიბლიოთეკა
Библиотека Грузии

Библиотека при ЦК ВКП(б)

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი ამ თვითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 60 კაპ.

დაკვეთა შეიძლება წერილობრივ. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა დროებით მიიღება „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის“ კანტორაში ბ. ანტიოხ სტურუასთან (გოლოვინის ბრ., 26) და მუშტაიდის ქ., № 15, მუშათა კლუბში ალექ. იოსელიანთან. აქვე შეიძლება რედაქციის მდივნის ნახვა.

დედა-ქალაქი, თებერვლის 20.

არჩევნების შედეგი პროვინციებში არჩევნების შედეგის დიდი ნაწილი უკვე ცნობილია. საარჩევნო ყუთებში უმრავლეს შემთხვევაში მცირე გამონაკლისით კონვერტები სოც.-დემოკრატების ბიულეტენებით აღმოჩნდა. მაშასადამე საქართველოს დამფუძნებელ კრებაზედ დეპუტატების დიდი უმრავლესობა იმ პარტიის ლაგერიდან იქნება, რომელიც დღემდე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას მეთაურობდა. ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს უხერხული მდგომარეობა უნდა შეჰქმნას თვით სოც.-დემოკრატიულ პარტიაში. ეს უკანასკნელნი ცნობილნი არიან; როგორც მრავალი საკანონმდებლო პროექტების ავტორნი ხოლო ესეც ცნობილია რომ ბოგიერთი ამ პროექტთაგანი გადაშინჯვას საჭიროებს. ორი წლის პარლამენტარულ წრეებთან მუშაობამ სოც.-დემოკრატებს სოციალისტური ფერი დაუკარგათ და ამიტომ მათ მიერ შექმნილი საკანონმდებლო პროექტები მხოლოდ ლიბერალური ხასიათისანი არიან. ჩვენი მიზანია სოციალისტურ იდეებს არ ვულალატოთ და უფრო პოპულიარული გავხადოთ იგინი. ამ მოსაზრებით ჩვენ მომხრენი ვართ დამფუძნებელ კრების მუშაობაში ახალი ნაკადი შევიდეს. ჩვენი პარტია სულ მცირე ხანია რაც დაირაზმა მაგრამ ამ მცირე ხანმაც აშკარად დაგვანახვა რომ ხალხში ამ ნიადაგზედ მუშაობა საჭირო ყოფილა. სადაც კი ხმა მივაწვდინეთ მშრომელი ხალხი თანაგრძნობით გამოგვეხმაურა და ამ თანაგრძნობაშია ჩვენი მომავალი. ამიტომ ჩვენ უფრო გაორკეცებული ენერგიით გავალთ ხალხში სამუშაოდ და ხალხს სოციალიზმისკენ მოვუწოდებთ.

ერთი რამ არის აღსანიშნავი განვლილ არჩევნებში. ჩვენს პარტიას ყველაზედ უფრო ფედერალისტები ებრძოდნენ, სოფ. საგარეჯოში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მ. დათქვიშვილმა (ფედერალისტმა ისეთ ფანდსაც კი მიმართა რომ საჯაროდ განაცხადა ვითომც ჩვენი სია № 9 გაბათილებულიყოს და ხალხს მიუწოდებდა არავის მიეცა ამ ნომრისთვის ხმა. გვაქს ამის გარდა მრავალი სხვა ფაქტი ამავე სახისა, რაზედაც შეძლეს გვექნება ლაპარაკი აქ კი აღსანიშნავია ის შიში რომელიც ფედერალისტებს არ ასვენებს, ისინი კარგათ გრძნობენ რომ მშრომელი მასა ჩვენ უნდა გამოგვყვეს და უნიადაგოდ დარჩენა, რასაკვირველია, არ სურთ. მაგრამ ულმობელია ცხოვრება და იგი ფედერალისტებისათვისაც ულმობელი იქნება.

ჩვენი პარტია

(შენიშვნები).

მთელი ცხოვრება თითქმის ჩვენი მოძღვრის არჩილის, წამება და ტანჯვა იყო. ძვირია მის სიცოცხლეში ბედნიერი წუთები. სიამოვნება ამ ქყეყნიური ძლიერ ცოტა ჩაყვა საფლავში. დარდები ტანჯული ხალხის, ტანჯული ერის, ტანჯული ქყეყნის წაიღო არ დასცალდა ძვირფას მასწავლებელს მისი თქმა რაც მას გულს უკლავდა და ულრღნიდა რაც სთქვა ის დარჩა მხოლოდ უკვტავი. მაგრამ.:. მის მოძღვრებაც ძლიერ წაგავს მის ცხოვრებას, გადახედეთ ამ თუთხმეტი წლის გამავლობაში როგორ წამების გვირგვინს ატარებს ერთათ ერთი თვალ მარგალიტი ჩვენი ქვეყნისთვის რა საშვალებით ებრძოდენ მას და უპირებდენ, ჩაკვლას მაგრამ სიმართლის შეჩერება შეიძლებოდა, მაგრამ სიკვტილი, ყოვლად შეუძლებელი იყო. ეს აზრი თვით ასწავლებელმაც ასე გააშუქა ხედავდენ მას რა საშვალებითაც ებრძოდენ მაშინდელ პოლიტიკური მომქმედი ჯგუფები და შემდეგ პასუხს აძლევდა.

„შესაძლებელია რომელიმე აზრის და მიმართულების შეფერხება მისი დროებითი ფრთების შეკვეცა, შესაძლებელია აგრეთვე სხვა გვარი ზედა პირული ინტერესების მომსჭვალვა ხოლო შეუძლებელია სიკვტილი მისი რაზედაც დამყარებულია ერის მთელი ცხოვრება“ ასეთი იყო მისი მოკლე და მეცნიერული პასუხი. დადგა დრო როდესაც ფრთები უნდა შეესხა მის იდეას ეს იყო რუსეთის რევოლიუცია. სწორედ ამ დროს ჩახცეს ჩვენს პარტიას სასიკვტილო მახვილი დაუვიწყარია ის ხანა ყველასათვის თუ როგორი დეკნა გავიცადეთ ჩვენ თავისუფლების ხანში როგორ გვახევდენ თავზე წითელ დროშებს რევოლიცეონურ ლოზუნგებს. ფეხ ქვეშ გათელა ბრბომ სიტყვა „ავტონომია“ „სოციალიზმი“ მოძღვარი ჩვენ მაინც უგნურებს იარაღი არ მივაგებედ ;მაშინ ჩვენ ვსთქვით ის რაც ძვირფას მოძღვრისაგან ვისწავლეთ სიმართლეს სისხლი და ტალახიანი ხელები ვერ ჩაკლავდა და ვერც გასვრიდა.

გაიარა ხანმა რუსეთის რევოლიუციამ ძირიან ფესვიანად შეარხია მთელი პოლიტიკური ეკონომიური. ცხოვრება და სულ სხვა გზით გააქანა ცხოვრება ის “რეცეპტები“ რომელიც გამზადებული ქონდა რუსეთში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს უვარგისი გამოდგა. ხმა არჩილის მოძღვრების ძლიერ სუსტი იყო იგი არ გაისმოდა შორს, მაგრამ ცხოვრება მას მაინც ამართლებდა დადგა ხანა საქართველოს განთავისუფლებისა და მისი მშრომელი ;ხალხის აყვავებისა, ჩვენ მაშინ თვით დავიწყეთ ჩაკვლა იმ ძვირფასი იდეისა რომელიც წამების გზით ვატარეთ დღემდის, გადახედეთ ამ ცხრა თვეში ჩვენს საპარლამენტო ფრაქციას რა გააკეთა, რომელი მუხლი ჩვენი პროგრამის გაატარა ცხოვრებაში მთლიანათ, მუშაობდენ მაგრამ სოც.-დემოკრატიულ პარტიისთვის, მიწის საკითხი ჩვენი უმთავრესი პროგრამა, საგანი რომლითაც ჩვენი პარტია ცოცხლობდ,ა მხოლოთ ოთხ საათიან სიტყვით დამთავრა, მიიღეს და ხელი მოაწერეს, გლეხებისათვის მიეღებელი მიწის საკითხს, და ვინ მოსთვლის რამდენი დეფექტი ქონდა ჩვენს პარტიის საქ-

მიანობის დროს. ყოველივე ასეთებს თვალყურს ადევნებდენ ის მუშები რომლებიც თავს იყრიდენ არჩილის დროშის ქვეშ ესენი იყვენ კანტროლი და ოპოზიცია პარტიის ამათი სახე ნათელი იყო მესამე კომფერენციაზე აქ აწარმოებდენ, ნამდვილ წმიდა ოპოზიციას თუმცა მაშინაც ბევრ ჩვენს პარტიულ „ბარიშნას“ არ მოსწონდა მუშების ასეთი საქციელი, მაგრამ რა გაეწყობოდა, უნდა შეგვრიგებოდენ, იმ კომფერენციიდგან დაუღალავად მუშაობდა თავის პარტიულ საქმეებისთვის მაგრამ გადამწყვეტი ხმა მუშებს რომელიმე საკითხში არასოდეს არ მინიჭებია მხოლოდ ისე სადემონსტრაციოდ თუ დაისწრებდენ. ეს ერთ გვარი დაცინვა იყო მუშების, მუშებმა ფედერალურ საბჭოზე განაცხადეს როდესაც დამფუძნებელ კრების კანდიდატების სიას ადგენდენ „ჩვენ არ ვენდობით საპარლამენტო ფრაქციას წევრებს და ჩვენ მოვითხოვთ რომ ყოველ ხუთში ორი ჩვენი წარმომადგენელი მოგვეცესო“. ამ სამართლიან მოთხოვნილებაზე უარი უთხრეს რაც ერთგვარი დაუფასებლობაც იყო მუშების, ეს რა თქმა უნდა საბაბი იყო და 13 იანვარ საღამოს ათ სათზე, უკვე გამოუცხადეს. საქ. მემარცხენე სოც. ფედ. მაშვრალთა პარტია ეს ვეღარ მოითმინა. ვინც ნაჩვევი იყო მამაშვილურ ცხოვრებას პარტიაში და მართლაც გამოუცხადეს ჩვენმა ძველმა ამხანაგებმა ომი მუშათა კავშირის წინაღმდეგ და ნიშანში ამოიღეს ალიოშა წერეთელი როგორც თავმჯდჯმარე მუშათა კავშირის. მისი პიროვნება კარქა რიგიანათ გალანძღეს და შეამკეს და მოუხშირეს პროტესტები ვითომ ამით გაიკეთეს პარტის საქმე და ის კი არ რომ მეტი ზიანი მიაყენეს თავის თავს.

ის დაავიწყდათ რომ ალ. წერეთელი 1) პარლამენტში პარტიის სახელით იყო 2) ქუთაის. საქ. თვით მართველობა პარტიამ დაასახელა 3) მოსკოვის კომფერენციაზე პარტიამ გაგზავნა 4) პეტრეგრადში დამფუძნებელ კრების წარმომადგენელი იყო პარტიისგან, მიტინგები რამდენჯერ პარტიის სახელით და ვინ იცის რამდენ სხვა კიდე თუ მაშინ კარგი კაცი და გამოჩენილი იყო ნუთუ დღეს შეიქნა მავნე პიროვნება როგორც სახალხო სწერს. პარტისთვის და გამორიცხეს იმ დროს როცა უკვე მომხთარ ფაქტის წინაშე იდგენ? ეს ხომ იმ არაკს მოგაგონებთ როცა თრვალი კაცი გაღებულ კარებს მიადგა, თუ ალ. წერეთელი ასეთი არა საიმედო პიროვნებად მიგაჩნიათ საბრძანდებოდით მაშინ მთავარი კომიტეტიო და ფრაქცია რათ არი ამცნეთ თქვენს წევრებს მაგრამ.. პარადი პატივ-მოყვარეობა ბარე ორ ინტელიგენტს აქვს და არავის არ უნდა თავის შეწუხება. ასე იყო ჩვენს პარტიაში და ასევე სხვა პარტიაშიდაც, ზოგიერთ ინტელიგენტი პარტიის მთლიანობაზე გაყვიროდა; „სახალხო“ პირველი თითონ არღვევდა ამ მთლიანობას, ისიდორე ვარაზაშვილი მაშინ დაინახეს მილიონერი როცა ის მემარცხენე შეიქნა. როდესაც პარტია მისგან სახარჯოს მიიღებდა ხოლმე, მაშინ პროლეტარი ყოფილა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ღირს მე ზევით ვსთქვი თბილი ადგილი და რიხიანი სახელი არავისაც არ ძულს ამას არც თქვენ უარყოფთ ბატონებო. დასასრულ თქვენ სრულებით ანგარიშს არ—უწევთ იმ მუშებს რომელიც „ახალ ნაკადის“ გაშემო იყრიან თავს ეს საუკეთესო ძალა ჩვენი პარტიის მოწინაღმდეგე ბანაკად გამოაცხადეთ და ყოველ დღე პროტესტს-პროტესტზე ბეჭდავთ ვითომ ამით სხვას გინდათ აუხვიოთ თვალები ტყუილია ეს ხერხი დღეს თუ არ ხვალ მაგ ტაკტიკასაც გაიგებენ. ის მუშები და ნუ იზამთ ისე რომ შემდეგ ცუდათ მოგიხსენიონ. ჩვენი დაუდევრობით და უტაკტიკობით სულ ჩამოაცილეთ ერთი საუკეთესო მუშა ჩვენი პარტიას ბესო ქელბაქიანი ის დღეს არც მემარცხენე და არ მემარჯვენე ერთხელაც არ მიდით და გაიგეთ მისი აზრი მისი მიმართულება და თუ გნებავთ მდომარეობაც. მან თავის ახალგაზრდობა ამ მოძღრებას შესწირა თქვენ ამას ყურიც არ ათხოვეთ ამას კი ხედავდენ ის მუშები ვინც მანდ თავს იყრიდა იცნეს თქვენი პარტიული მოღვაწეობაც ნუ რას უკაცრავათ თუ ნდობით აღარ მოგეკიდენ და მონახეს თავის გზა.

უკანასკნელათ ვიტყვი რომ არის კიდევ ჩვენს მემარჯვენე პარტიაში ერთი ორი ინტელიგენტი რომელიც მართლა დაინტერესებულია პარტიული ცხოვრებით სამწუხაროთ აღვნიშნავ რომ იგინი იქ დარჩენ. დასასრულ პრინციპებზე არის კამათი და ამასაც დაინახავთ ვინ რომელ პრინციპის მატარებელია და ტაკტიკის. ჩვენ არ გებრძვით და ნურც თქვენ შეიწუხებთ თავს. თქვენც იმუშავეთ და ჩვენც, ასპარეზი დიდია სამუშაო ვნახოთ, ვსცადოთ ვინ რას გააკეთებს, ვინ განახორციელებს წამებულ მოძვრის იდეას.

იონა.

ხმები დაგვაკლდა!?

გაზეთი ,,ბორბა‘‘ ანგარიშს უკეთებს დამფუძნებულ კრების არჩევნებზე სხვადასხვა პარტიის მიერ მიღებულ ხმები და დაასკვნის, დააკლდათ ,,მაშვრალებს 80 ხმა, რომელიც ფედერალისტებს მიემატა მართალია ეს ცნობა? ჩვენ ვფიქრობთ რომ არა.

ქალაქის არჩევნებში მივიღეთ 427, ეხლა 369, დაგვაკლდა 58 ხმა, ეს მოხდა იმიტომ, რომ ბევრმა ჩვენში თანამგრძნობის ძველი ტრადიციის მიხედვით ხმა მისცეს 7—№-ს და აგრედვე იმიტომ, რომ ჩვენი ამხანაგების ნაწილი პროვინციაში იყო გამგზავრებული. ჩვენ ამხანაგების განსაზღრული ნაწილი გვყავს და ყველა მუდამ ჩვენ სიას აძლევს ხმას ჩვენ მოკლე დროში საშუალება გვექნება დაწვრილებით აღვნიშნოთ ის დევნა რომელიც ჩვენ არჩევნებში განვიცადით სოც.-დემოკრატები დიდს დახმარებას უწევდენ ფედერალისტებს და ცდილობდენ, რომ მათ ესარგებლათ მრავალი კომბინაციით დღეს ჩვენ პირიქით გვედავებიან, მაგრამ გაბედონ სთქვან ეს პრესაში და საკადრის პასუხს მიიღებენ.

ამხანაგებს კი კვლავ მოვუწოდებთ მუშაობისკენ! ჩვენი შეხედულება დამფუძნებულ კრებაზე მათ კარგათ იციან და არჩევნების შედეგსაც ამ თვალთაზრისით უნდა უცქეროდენ.

რას ვთხოულობთ ჩვენ

ჩვენ ახლად დარსებულ ნორჩ პარტიამ დღიდან დაარსებისა დავისახეთ მიზანი რათა დავიწყებულ არჩილის მოძღვრება თვისი ნაწერებში „ძველ და ახალში“ ეს წმინდა ჩვენ მუშებისთვის ბნელ ხამარიდან როგორც დავიწყებულს აღვედგინა. და ჩვენ მუშები კორძიანი ხელებით ცალ ხელში დავიჭერთ სოციალისტურ რევოლიციონერ დროშას და მეორე ხელით ეროვნულ დროშას.

ჩვენი პარტიაც ამ ორი დროშის ქვეშ იბრძოლებს. სოციალისტურ-რევოლიციონურ დროშით ვემსახურებით ქალაქის და სოფლის მუშებს, და ჩვენც დაუყონებლივ მოვითხოვთ რათა ცხოვრებაში იყოს გატარებული შემდეგი, მაგალითად, ქარხნებში მუშებს ზედ კისერზე აჯიან ხაზეინები და როგორც სურთ ისე ათამაშებენ, და რომ ეს არ მოხდეს საჭიროა ყოველ ქარხნებში და დაწესებულებში მუშათა კონტროლი. ღარიბ ხალხს არა აქვთ სახსარი რომ მივიდნენ აფთიაქში რათა თავის მომაკვდავს მიუტანოს წამალი. ხშირად არის შემთხვევი, რომ უსახსარო ღარიბ ღატაკს არ გააჩნია ორიოდე გროში რომ თავის მომაკვდავს მიაშველოს წამალი. ამისთვის საჭიროა რომ ყველა აფთიაქები გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას რომ მან იაფ ფასებში მიჰყიდოს ღარიბ ხალხს წამალი. დაუყონებლივ უნდა გადაეცეს მიწა მიწის მუშებს მხოლოდ უფასოდ. დღეს ჩვენ რას ვხედავთ მთავრობამ მიწა ჩამოართო მემამულეებს, ეხლა კი უნაწილებს გლეხებს, მაგრამ სამწუხაროდ ურიგებს ფასით და არა უფასოდ, შეიძლება სთქვან რომ ჩვენ ფულს იმიტომ ვახდევინებთ რომ ღარიბ ხაზინას შევძინო[illegible], მაგრამ [illegible] რომ არ ახდევინ[illegible]—ფული[illegible] დევინეთ ფული იმ სპეკულიანტებს რომელნიც თავისუფლად დათარეშობენ სოფლად და ქალაქად. და ეროვნულ დროშით ჩვენ ვემსახურებით თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს, და შევებრძოლებით იმათ ვინც გაბედამს და შელახამს საქართველოს ხელშეუხლებლობას, და კიდევ შევებრძოლებით იმათ ვინც გაბედამს საქართველოს დემოკრატიის დაცემას და ფეოდალურ წესწყობილების. აღდგენას. და ამხანაგებო დაუნდობელი ბრძოლაა საჭიროა რათა განვახორციელოდ ჩვენი მიზნები და სინათლით მოვფინოთ საყვარელ არჩილის დავიწყებულ მოძღვრება.

მაშვრალი მუშა

ამხ. კოტეტიშვილზედ.

კოტეტიშვილი ჩვენთან ოპოზიციაში მუშაობდა მესამე კონფერენციაზედ; რა აზრების მატარებელი იყო იგი სხვა დროს მე არ ვიცი, როგორც პროვინციელმა, მხოლოთ როდესაც გავიგე რომ უკანასკნელი კონფლიკტის დროის იგი უკვე ჩვენ წინაღმდეგ ილაშქრებს გამაკვირვა და წინ დამიდგა მისი სულიერი სიკოტრე. ნუ თუ კოტეტიშვილმა არ იცის, როგორც ოპოზიციონერმა, რომ ჩვენ ამ ორ ჯგუფ შუა მთელი უფსკრული არსებობდა აზრთა სხვა და სხვა იმაობაში პრაქტიკულ ნაბიჯებშიც, რომ ძველ პარტიაში იყვნენ ნაციონალ დემოკრატებიც, ფედერალისტებიც და სოციალ-ფედერალისტებიც გადაავლეთ თვალი თქვენი პარტიის დაარსების ისტორიას და ნათლათ დაინახავთ ყველაფერს ამას; სახალხო ფურცლის გარშემო თავს უყრიდა ყველა ჯურის ნაციონალისტი განურჩევლათ იმისა იყო იგი სოციალისტი თუ არა. მართალია ნაციონალ დემოკრატიული პარტიის დაარსებამ ხელი შეუწყო ამ პარტიის გაწმენდას, რადგანაც იქ გადასახლდნენ შოვინისტები მაგრამ ეს პარტია სავსე იყო [illegible] მერყევი ელემენტებისგან, საკუთ[illegible] სოციალისტებით. თუ ეს ასე არ იყო რათ არსებდა კოტეტიშვილი ცალკე მუშურ გაზეთს და იქით მოუწოდებდა მათ დარაზმულიყვნენ?!! სამწუხაროთ მე არა მაქვს საშუალება კარგათ გავეცნო კოტეტიშვილის აზრებს, ალბათ იგი თავის გაზეთში სწერს რამეს ამეების შესახებ მაგრამ ეს გაზეთიც არსად ჩანს რადგანაც ჩვენი ძველი პარტიული ბიუროები ემტერებიან როგორც ,,ახალ ნაკადს‘‘ ისე მის ,,სოც. ფედერალისტსაც‘‘ და იქ ვერ ნახავდი მის.

ნოგათათ მეგოგრეგს.

მე თქვენ შორის დავიბადე, თქვენი მოძმე, მოყვარული;
თქვენ გეკუთვნისთ აწ მარადის, თქვენ გიმღერის ჩემი გული;
ნანატრი დროს მოვესწარით, ვნახეთ ერის გაზაფხული,
გულთ ჩავიკრათ ჩვენ ეს მცნება: ერთობა და სიყვარული!

რასაც დიდ ხნით ველოდით, ის ასრულდა აღზდგა მკვდრეთით
მტერს ეგონა რომ ვაებას სამუდამოდ შევაბერდით.
ჩვენი სატრფო საყვარელი განწირული იყო ბედით,—
მაგრამ ტანჯვამ, მოგვცა შვება სამოთხეში გადავედით!

საქართველო ცოცხლობს, ხარობს, ერის შვილნო თქვენც იხარეთ
აღარ გეყოთ წამებულნო რაც რომ მწარე ცრემლი ღვარეთ,
გოლგოთისკენ ზიდეთ ჯვარი მტარვალები ახარხარეთ
აღზდეგ, ერო მშიენიერო ქართველებო, გაიხარეთ!..

აწი ჩვენი მშობელ-მხარე ათას-ფერად აყვავდება:
ფრთებსა გაშლის სანავარდოთ, გამშვენდება, განახლდება—
თავისუფლების სხივებით კიდით-კიდეს მოედება,
რუსთაველის ოქროს ხანა უემველად დაგვიდგება...

მე თქვენ შორის დავიბადე, თქვენი მოძმე-მოყვარული,
თქვენ გეთუთვნით აწ მარადის, თქვენ გიმღერის ჩემი გული,
ნანატრი დროს მოვესწარით, ვნახეთ ერის გაზაფხული
გულთ ჩავიკრათ ჩვენ ეს მცნება; ერთობა და სიყვარული!...

აპოლონ ხაჟალია.

ქ. თფილისი.

კოტეტიშვილის გაზეთიდგან ამოწაწერი წაგიკითხე სახალხოში სადაც ის გმობს ალ. წერეთელის საქციელს, უწოდებს ინტრიგანს და ამბობს, მართალია ნაძალადევის მუშებმა დამავალეს ოპოზიციაში ვყოფილიყავ, მაგრამ მითხრეს პარტია არ დაარღვიოთო; მე ვეკითხები კოტეტიშვილს, სად იყო მესამე კონფერენციაზედ ,,ალ. წერეთელი იმ დროს როდესაც თქვენ გრ. ლალიძესთან ერთათ მათ წინააღმდეგ იბრძოდით ჩვენთან ერთათ, ან არ გახსოვს მუშების ტრიალის დროს დადიანმა რომ გადმოგგძახა; გიხაროდეთ ვახტანგ. კოტეტიშვილს სწადიან გიორგი ლასხიშვილის ადგილი დაიჭიროს და თქვენც გაბრიყვებთო; ამ დროს ლაპარაკიც არა ყოფილა ალ. წერეთელზედ ჩვენ მოწინააღმდეგები და ჩვენ პროვინციელები არც კი ვიცნობთ ალ. წერეთელს, იგი მხოლოთ ნახევარი საათით მინახავს მე მაგალითათ; იმის მტკიცება რომ წერეთელმა გამოიყოლია ამხანაგები და პარტია დაშალა ცილისწამებაა და არ გეპატივება ნამეტნავათ თქვენ, რომელმაც ხუთსართულიანი „რეჩებით“ თავი მოგვაბეზრეთ ჩვენი კომიტეტის უვარგისობით. მე როგორც ახალ წევრსო კონფერენციასას არაფერი გამიგონია ალ. წერეთელზედ იქ მაგრამ თქვენსა და მთავარ კომიტეტს შორის კი ეტყობოდა უპატიოსნო რაში ბრძოლა არსებობდა, სწორეთ ეხლა ვატყობ, რომ თქვენი მაშინდელი გამოსვლა მუშების სახელით იყო პირად თავმოყვარეობაზედ დამოკიდებული და აკი სამს, დადიანმაც გადმოგძახა ესა. ,,ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალიო'' ასე უშვებით თქვენ ალ. წერეთელს კარგი იქნებოდა, რომ ყოველი გამოსვლის დროს ეკამათათ პარტიას და არა პიროვნებას. ჩვენში ალ. წერეთელი ისეთივე უბრალო პარტიის წევრი იქნება, როგორც მე ან სხვა იმასაც ვხედავთ, რომ მან ჩუმათ დინჯათ შეასრულა თავისი წმინდა მოვალეობა და ჩვენთან დარჩა ჩვენში ვერავინ გაბატონდება ვინც გინდა იყოს გინდ წერეთელი გინდ სხვა, რომლებსაც ჩვენ, არა ქალაქელები, ვერც კი ვიცნობთ; ჩვენში ბატონ პატრონი იქნება თიოონ პარტია და არა მთავარი კომიტეტები დარწმუნებული ვარ, რომ ნაძალადევის დემოკრატია, რომელიც განთქმულია თავისი მტკიცე რევოლიუციონერობით არ დაავალებდა კოტეტიშვილს, რომ იყავი იმუშავე იმ პირებთან, რომლებსაც არ თანაუგრძნობთ და გაბატონებულან პარტიაში. საინტერესო იყო ეჩვენებინა სხვა გზა ამ. კოტეტიშვილის მე ჯერ იხვ მესამე კონფერენციაზედ ურჩიე ამხანაგებს დაეარსებიათ ცალკე პარტია; ჩემ ლაპარაკს ტაშის ცემით შეხვდნენ ჩვენ წრეები, რადგანაც, კოტეტიშვილი და ლალიძეც იქ ბრძანდებოდნენ. მე მიკვირს რალა კავშირი შეიძლებოდა კოტეტიშვილისაგან ლალიძისა და მთავარ კომიტეტს შორის მესამე კონფერენციის განხეთქილების შემდეგ. აკი ვამბობ იქ არაფერი გამიგონია წერეთელზედ, რომელიც იქ არ იყო, მაგრამ ბევრი საძაგელი რამ გავიგონე ორივე მხარეზედ. მთავარი კომიტეტის წევრები გვეჩურჩულებოდნენ პროვინციიდგან ,ჩამოსულებს რომლებსაც ნაკლებათ რამ გაგვეგებოდა მათი კინკლაობის გარდა პრინციპიალურ განსხვავების. რომ კოტეტიშვილს უნდა ლასხიშვილის ადგილი დაიჭიროს. ინტრიგანია, ნუ აჰყვებითო, ლალიძეზედ ხომ ვინ იცის რას არ ამბობდნენ მათი მოწინააღმდეგენი. სირცხვილია იმის თქმაც, მაგრამ თუ ვინმე მკითხავს ვეტყვი აგრეთვე კოტეტიშვილი ლალიძე გვითითებდნენ მთავარ კომიტეტის უვარგისობაზედ, პატონობაზედ, გზის გადახვევაზედ და რალაც კიდევ საიდუმლოებებზედ, რომელზედაც კი არ ლაპარაკობდნენ. მე როგორც ახალმა წევრმა შევატყვე, რომ აქ იყო პრინციპიალური განსხვავების გარდა დიდი ინტრიგის ქსელი გაბმული და ამას აწარმოებდა მთავარი კომიტეტი და მათ წინააღმდეგ ვახ კოტეტიშვილი და ლალიძე; სად იყო ამ დროს წერეთელი?! ღვთის წინაშე ზოგი მუშების წარმომადგენელი ამოიოხრებდა ხოლმე, როცა გვძალავდნენ ლაპარაკში ჩვენი ვექილები და იტყოდენ არ სადა გვყავს ჩვენი ალიოშაო კოტეტიშვილი და ლალიძე გვამხნევებდნენ: ამხანაგებო მტკიცეთ იყავით, ალიოშა აქ არა გვყავს მაგრამ მაგრა უნდა დაუხვდეთ მოწინააღმდეგს და არც კი ვაგრძნობინოთ მისი აქ არ ყოფნაო; ამის შემდეგ განა პატიოსნურია გამოსვლა კოტეტიშვილისა წერეთლის თუ ჩვენ წინააღმდეგ, როდესაც აუხვია გზას გვერდი და სხვის ბანაკში გადაბძანდა?! მე არ ვიცი რა გზას დაადგა ლალიძე, რომელიც წამ და უწუმ გვაყვედრი და, ამხანაგებო ვერ ხართ რიგიანათ შეკავშირებული რალასიც გეშინიანთ გერიდებათ მხნეთ იყავითო; ახლა კი ჩვენ მხნეთ ვდგევართ და ის კი არ ვიცით ვისთან არის; ამბობენ შერიგების პოლიტიკას ადგიან; ჯერ გვიჩვენოს რა ნიადაგზედ შეიძლება შერიგება ისეთ ადამიანთან, რომელიც სხვაფრივ ფიქრობენ რატომ ჩვენ, ერთ იოტის ოდენასაც არ გვითმობდა არაფერში და ჩვენ ზრახვებს საალილოთაც იგდებდა. გვიჩვენოს ეს გზა ვინშემ და მაშინ გაგვამტყუნონ.

დაგირი.

ჩვენს პარტიაში

სტუდენტთა კრება. ხუთშაბათს 20 თებერვალს, საღამოს 8 საათზე ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტში (1-ლ აუდიტორიაში დანიშნულია ჩვენი პარტიის სტუდენტთა საერთო კრება. გასარჩევია ფრიად საჭირო საკითხები. დასწრება სავალდებულოა.

——

20 თებერვალს,

საქართველოს მემარცხნე სოციალისტ ფედერალისტ მაშვალთა პარტიის ყველა წევრთ და თანამგრძნობ მოწაფეთ ვსთხოვთ აუცილებლივ დასწრონ კრებას ხუთშაბათს თებერვლის 20 რომელიც შესდგება ბიუროში საღამოს ხუთ საათზე (მუშტაიდის შესახვევი 15) საყურადღებოთ გაირჩევა საკითხვები.

1919 წ. 17 იანვარს ფარმაცევტთა კავშირის ბენაზე შესდგა ,,ქართველ ქუთაისელ ოფიციანტ-მოლარეთა სოც.-ფედ. პარტიის წევრთა. კრებას თავმჯდომარეობდა კავშირის თავჯდომარე ა. მხეიძე, მდივნათ ან. ნადირაძე. კრებას დაესწრო 11 კაცი. მოხსენებას აკეთებს გ. ჯანდიერი: რომელიც აღნიშნავს ამ ბოლო დროს სოც.-ფედ. პარტიაში მომხდარ კომფლიკტს და დაწვრილებით აცნობს კრებას საქმის ვითარებას.

შემდეგ ლაპარაკობს ი. ფანცხავა და ალ. მხეიძე. მოხსენებათა შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „ქუთაისის აფთიაქებში მომუშავეთა სოც.-ფედ. საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. გ. ჯანდიერის და ი. ფანცხავასი, პარტიაში მომხდარ განხეთქილების შესახებ დაადგინა: ხულით და გულით უთანაგრძნობთ ,ახლად დაარსებულ „საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიას'' და ვალიარებთ რა მის წმინდა სოციალისტურ მიმდინარეობას ვეცთებით საეხებით გავატაროთ ცხოვრებაში. ამავე დროს უძღვნით გულითად სალამს ამხ. ალ. წერეთელს, რომელმაც მუშათა ორგანიზაციების დავალებით მედგრათ ხმა ადიმაღლა იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც საეხებით დაიკიწყეს პარტიის დანიშნულება და მასთან ერთად მუშათა ინტერესებიც. 1. ალ. მხეიძე 2. ან. ნადირაძე 3. ვ. ლორთქიფანიძე 4. ნარეშელაშვილი 5. ვ. ჩაკვეტაძე 6. ვარდენ ბალანჩივაძე 7. რაფიელ ვრისთავი 8. იოსებ შვანგირაძე 9. ვარლამ ალავიძე 10. ილიკო ქუთათელაძე 11. აკაკი მგალობლიშვილი 12. ალ. სულიბერიძე 13. გრიგოლ ხიმშიაშვილი.

ცოტა რამ ვანოზე.

ყველასათვის აშკარაა, რომ სოციალისტ-ფედერალისტებს ჩამოშორდენ ნამდვილი სოციალისტები—მუშები, ვისი სახელით ან ვისი იარაღით გამოდის აგრეთ წოდებული სოციალისტ-ფედერალისტთა მუშათა კავშირის ორგანო ,,სოციალ-ფედერალისტი''? საკვირველია, იმ ხალ. ხმა, ვინც დაარსა, ვისი სახელიც უწოდა, ისინი იქ ალარ არიან!! და თუ თედოსა და ვ. კოტეტიშვილს ენა ქავათ, ნუ თუ ,,სახალხო საქმე'' ადგილს არ უთმობს და განსაკუთრებით ახლათ განწმენდილს და ჭკუაზე მოსულ ბავშვს ვ-კ-შვილს? მაგრამ თურმე ნუ იტყვი ფედერალისტებს ერთი მუშა ყოლიათ ჭკუიანი, რომელსაც თავის წვრილს დარიგებით იწყებს და ლანძღვით ათავებს!! აი რას ამობს: ,,ხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, რომ შერიგების დროს შევრცხვეს'' შემდეგ

ამობს; ნამუსი კარგი საქონელი ყოფილა ამხანაგებო'' არ ვიცი ამ ნამუს ეხლა გაეცნო ბ-ვანო ლუბერაშვილი თუ ჩვენ გვარიგებს? დარიგებაზე დიდ მადლობას მოვახსენებთ, მაგრამ მინდა შევეკითხო: როდიდგან გახდა ლუბერაშვილი პკუიანი და ნამუსიანი, მაშინ როცა რევოლუციონერების ჩარჩობას ცდილობდა თუ აქედან პროპაგანდისტათ რომ მიდიოდა კახეთში, და თან მარილი მიჰქონდა და სპეკულიაციას ეწეოდა ხალხს ტყავს აძრობდა? როდის არის ეს სინდისი კარგი? ან ეგეთი ჭკუიანი კაცი როდის მოევლონე მაგ მუშის სახელ წოდებას და უმუშებო გაზეთს. ვანო? ეგ ჭკუა კოტეტიშვილმა ხომ არ გათხოვა დროებით.

მუშა ვახო

სხვა და სხვა ამბები.

ბოლშევიკური მოძრაობა საფრანგეთში

პარიზიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ საფრანგეთში სდგება მუშათა და ჯარისკაცთა არალეგარული საბჭოები მარსელსა და ლიონში დიდი მანიფესტაციები მოხდა.

ლიუბეკში

ადგილობრივი ჯარისკაცთა საბჭო სპარტაკელების მხარეზე გადავიდა, რომელმაც დაიჭირა ფოსტა-ტელეგრაფი. მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. სპარტაკელებმა სადგური გამბურგი დაიჭირეს, რათა იარაღი აყარონ გამბურგში მომავალ მთავრობის ჯარს. აქ რკინის გზები გაფიცვას აპირობენ. ლიუბსკის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ გაიგო რა ბრემენში მომხდარი ამბები, გამოუშვა მოწოდება ჯარისკაცთა მიმართ, სადაც ანთავისუფლებდა მათ მთავრობისადმი მიცემულ ფიცისგან და მოუწოდებდა მათ ბრემენისაკენ წასასვლელათ და კონტრ-რევოლიუციონერ არმიასთან საბრძოლველათ.

კომუნისტების დაპატიმრება

ბერლინში დემონსტრაციები არ მომხდარა. შაბათს საღამოთი დააპატიმრეს კომუნისტების 29 ბელადი. ეგრეთ-წოდებულ ,,წითელ ჯარისკაცთა საბჭოს'' ჰქონდა ფარული სხდომა, რომელზედაც უნდა ეთათბირათ კვირისთვის დემონსტრაციების მოწყობაზე. პოლიციამ და მთავრობის ჯარმა შესძლო ამ კრების აღმოჩენა და ამნაირად შეუძლებელი გახდა დემონსტრაციების გამართვა. ხამწუხაროდ, როდესაც იმ ადგილს, სადაც ფარული კრება ხდებოდა, გარს შემოერტყნენ, მოხდა მცირე შეტაკება, რომლის დროს ერთი მოქალაქე მძიმედ დაიჭრა. ბელადების დაპატიმრების შემდეგ სპარტაკელებმა ველარ გაბედეს კვირას გამოსვლის მოწყობა.

რადეკის დაპატიმრება

დაპატიმრებული რადეკი, ჩამოიყვანეს ავტომობილით რომელზედაც ტყვიისმფრქვეველნი დადგეს იმ შემთხვევისთვის თუ ბრბო დაესხმოდა. რადეკი ჯერ სამხედრო უწყებას ჩააბარეს, შემდეგ კი ციხეში მოათავსეს. დაკითხვაზე პოლკ. რეინჰადტს რადეკი უმტკიცებდა, რომ ის რიხარდ მიულერმა და მიულ კენბურგმა გაიწვიეს ბერლინში მასთან ერთად დაუპატიმრებიათ მისი მდივანი ქალი და სტენოგრაფისტკა. რადეკთან დაჭერილ საბუთების წყალობით აღმოაჩინეს სპარტაკელთა საიდუმლო ორგანიზაცია. წერილებიდან სჩანს, რომ ახალწლისთვის განზრახული იყო ბოლშევიკურ ამბოხების მოწყობა მთელ გერმანიაში. ერთ და იმავე დროს რუსეთის ბოლშევიკებს შეტევა უნდა დაეწყოთ აღმოსავლეთიდან,

სპარკატელების საქმე.

გერმანული პრესა. დასრულდა ამბოხების მომწყობ სპარტაკელთა საქმის გარჩევა. მათ მიუსაჯს ციხეში დაპატიმრება 3 თვიდან 1 წლამდე.

მაგდებურგში თებერვლის 7 ხელის ყუმბარებით შეიარაღებული 80 მუშა ციხეს დაეცა და დაპატიმრებული სპარტაკელნი გაანთავისუფლეს.

გ ა ფ ი ც ვ ა.

რევოლიუციონურ სპარტაკელების მიერ მიულგეიმ-ეპინგოფენის სადგურის დაჭერის გამო რკინის გზის მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს.

ბ ე რ ლ ი ნ შ ი.

გვარდიის დივიზია, რომელიც ბერლინში წესრიგს იცავს ყოველგვარ-ზომებს იღებს წესრიგის აღსადგენათ. ქუჩები და მოედნები სამხედრო ყარაულებისგანაა დაჭერილი. ქარხნებმა დაიწყეს მუშაობა, მაგრამ მათ იცავს შეიარაღებული ჯარისკაცები.

ბ რ ე მ ე ნ ი.

ბრემენი, რომელიც ეხლა მთავრობის ჯარმა დაიჭირა, ძლიერ დაზარალებული და დანგრეულია. ბირჟა განადგურებულია. მთავრობის ჯარი ყაზარმებში დაბინავდა.

ბოლშევიკური მოძრაობა.

რუმინიაში ბოლშევიკური მოძრაობა ძლიერდება, მოძრაობა ბუქარესტიდან ვრცელდება. მეფე ოდესაში იასში გაქცევას სცდილობდნენ.

მოსკოვი

ობსერვატორიიდან ცნობა მოვიდა, რომ რკინის გზებზე მოსალოდნელია დიდი თოვლი. ტროცკიმ ბრძანება გასცა, რომ რკინის გზების თოვლისაგან გასაწმენდათ ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა მოიხმარონ ყველა ახლო-მახლო მდგარი სამხედრო ნაწილები და რკინის გზით მიმავალი ეშელონები.

რიგა

კილში საერთო გაფიცვაა. საბჭოთა მთავრობის დეკრეტით ლატვიაში ყველა ბანკების ნაციონალიზაცია მოხდა. კერძო ბანკები თავის საქმეებს აბარებენ სახალხო ბანკს. კერძო პირთა თანხას, რომელიც 10,000 აღემატება, კონფისკაციას უშვებიან. ვისაც ათიათასზე ნაკლები თანხა აქვს მას ფული თვიურათ მიეცემა, 400 მანეთი თვეში.

სოციალისტური კონფერენცია.

ბერნის საერთაშორისო კონფერენციამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა იმსჯელოს რუსეთის მდგომარეობაზე. ამ კომისიაში ავსტრიელების მხრით შევა ფრიდრიხ ადლერი, გერმანელების მხრით—კაუტსკი, ფრანგების—ლონგე, ინგლისელების—მაკდონალდი. კომისიაში მრჩევლებათ შევლენ: უნგრელი ბუხანგერი და არგენტინელი ტოჩმანი. ამას გარდა კომისიაში შევლენ ფინეთის და იტალიის წარმომადგენლნი.

რიგა

მემარცხენე სოციალისტის პლანტენის წინადადებით შვეიცარიის სოციალ დემოკრატიამ დაადგინა ბერნის კონფერენციაში მონაწილეობა არ მიიღოს. პარტიის თავმჯდომარე მიულერი გადადგა.

დიუსელდორფი.

ძალაუფლება ქალაქში სპარტაკელთა ხელშია. ბურჟუაზიული და ხელოსანთა ორგანიზაციები გაფიცვით იმუქრებიან და მცხოვრებლებს მოწოდებით მიმართეს სპარტაკელთა მთავრობას გადასახადები არ აძლიონ.

პ ა რ ი ზ ი

საზავო კონფერენციაზე საბერძნეთის მთავრობამ მოითხოვა, რომ მას მიეცეს ოსმალეთის რამდენიმე პროვინცია.

ახალი ამბავი.

ტფილისის გამგეობის არჩევნები. 17 თებერვლის სხდომაზე ქალაქის საბჭომ ქალაქის თავად ბ. ჩხიკვიშვილი აირჩია, მის ამხანაგად კი გ. კონიაშვილი, გამგეობის წევრებად მასალკინი, ფანიაშვილი და ი. ბესელიძე. გამგეობის მეოთხე წევრის არჩევა საბჭომ შემდეგი სხდომისთვის გადასდო.

რუსთა ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარის ბედი საქართველოს მთავრობის განკარგულებით რუსთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე [illegible] საქართველოდან უნდა გავიდეს.

რა ხდება კავკავში. კავკავში ძლიერ გახშირდა ძარცვა-გლეჯა გზა კავკავიდან ბალტამდე მოხალისეთა ჯარების ხელშია, ბალტიიდან დარიალამდე კი ინგუშებს უჭირავთ.

პირდაპირი მავთული ევროპის სახელმწიფოებთან ინგლისის მისიის ინიციატივითა და საშუალებით გაჰყავთ პირდაპირი მავთული კავკასიიდან ევროპის დიდ სახელმწიფოთა დედა ქალაქებამდე მაგალითად პარიზამდე ლონდონამდე და სხ.

საფრანგეთის მევენახეთა წარმომადგენელნი საქართველოში. ამ დღეებში საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოვლენ საფრანგეთის მევენახეთა წარმომადგენელნი რომელთაც მიზნად აქვსთ შეიძინონ კავკასიაში საცდელი მინდორი სადაც საფრანგეთის ვაზს დაამყნიან კავკასიის ვაზზე.

ინგლის მისიას აზრათ აქვს აღადგინოს რკინის გზა თავრიზსა და ჟრგვანს შუა, ეს გზა ინგლისს სჭირდება ჯარების გადასაყვან-გადმოსაყვანად.

ქუთაისის სასურსათო საზოგადოების ,,ნდობის'' მოსამსახურეები გაიფიცნენ ეს მეორე კვირაა, ამისათვის საზოგადოება სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს კონფლიქტის მოგვარებას.

სამხედრო მინისტრმა გამოიძია ახალციხის ფრონტზე დახევის მიზეზი და გამოძიების შემდეგ სამსახურიდან დაითხოვა მე-4-ეე პოლკის უფროსი გენერალი გელოვანი და მისი თანაშემწე მაჩაბელი. და ზოგი ოფიცრები პასუხის გებაში იქმნენ მიცემული.

წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ მცირე შენიშვნას:

დღეიდან მე არ ვერიცხები სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში, ვინაიდან ძირითადი ტრანსფორმაცია, რომელიც მოხდა რევოლიუციის სინამდვილის ზედ-გავლენით ჩემს პოლიტიკურ აზროვნებასა და რწმენაში—არ მაძლევს ნებას მომავალშიაც დავრჩე აღნიშნულ პარტიის შემადგენლობაში.

აკაკი თათარიშვილი

ტფილისი 30/I-1919 წ.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება დამრთოთ გამოუცხადო რომ დამფუძნებელ კრების სიაში № 5 ჩემდა უნებურად ვარ შეტანილი.

ფლობელაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი
არედაქციით კოლეგია.

სტამბა „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის", გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—78.